



№38/374-15



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

ი შ ე ს ა ვ ა ლ ი

26 ნოემბერი, 2015 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - მანანა ჩოხელი

სხდომის მდივანი - სოფიო ჯაფარიძე

აპელანტი (მოპასუხე) - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის
სააგენტო
წარმომადგენელი - ი. ფ.

აპელანტი (მოსარჩელე) – შპს „დ.კ.“
წარმომადგენელი - ა. შ.

მოწინააღმდეგე მხარე - ლ. ს.
წარმომადგენელი - ვ. ს.

დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება

II ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. აპელანტების მოთხოვნა



თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია

მოწინააღმდეგე მხარე არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივრებს და გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

3.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ლ. ს.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნების გაცემა, 2012 წლის 26 აპრილს თბილისის მერიის ტერიტორიაზე უმავთულო ინტერნეტის ქსელის მოწყობისა და განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების უფლების განკარგვის მიზნით ჩატარებული №XXX აუქციონის პირობების შპს „დ. კ.-ს“ მიერ შესრულების (შეუსრულებლობის) შესახებ; ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონის პირობების შესაბამისად, თბილისის მინიმუმ სამ ცენტრალურ ქუჩასა და პოპულარულ ტურისტულ მარშრუტზე ინტერნეტის სერვისის როუმინგის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა); ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა გასცეს საჯარო ინფორმაცია იმ აპარატურის სპეციფიკის შესახებ, რომლის მეშვეობითაც შპს „დ. კ.“ ახორციელებს ყოველი წვდომის სადგურის დაფარვის არეში ჯამურად 50-100 მბ/წმ გაზიარებული ინტერნეტ-ტრაფიკის მიწოდებას. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის გაცემა იმის შესახებ, თუ როდის და რომელ სადგურზე შემოწმდა ჯამურად 50-100 მბ/წმ გაზიარებული ინტერნეტ-ტრაფიკის მიწოდება შპს „დ. კ.-ს“ მიერ და ინტერნეტ-სერვისის როუმინგი აუქციონის პირობების შესაბამისად; ასევე დაევალა აღნიშნული შემოწმების ამსახველი დოკუმენტაციის გაცემა; ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ ა) აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში თბილისში მინიმუმ 400 Wi-Fi წვდომის სადგურის განთავსება; ბ) მომდევნო 3 თვის განმავლობაში



დამატებით მინიმუმ 500 წვდომის სადგურის ჩართვა; გ) შემდგომ დამატებით 600 წვდომის სადგურის ჩართვა 2012 წლის 31 დეკემბრამდე ვადაში; დ) 1000 წვდომის სადგურის ჩართვა 2013 წლის განმავლობაში; ე. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით გასცეს თბილისის ტერიტორიაზე შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონის პირობების შესასრულებლად განთავსებული Wi-Fi წვდომის სადგურების მისამართები და კოორდინატების ამსახველი დოკუმენტები; ე. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში როუმინგის სისტემით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა); ე. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა საჯარო ინფორმაციის სახით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა).

3.2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

დადგენილია, რომ შპს „დ. კ.-მ“ გაიმარჯვა თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2012 წლის 26 აპრილს მოწყობილ აუქციონზე და მოიპოვა თბილისის ტერიტორიაზე უმავთულო ინტერნეტის ქსელის მოწყობისა და განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების უფლება, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში (ადმინისტრაციულ დაპირებაში) მითითებული პირობებით.

2014 წლის 31 მარტს კს „დ. კ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ განცხადებით მიმართა თბილისის მერიას და მოითხოვა 2012 წელს თბილისში, განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებისა და უმავთულო წვდომის სადგურების ექსკლუზიური განთავსების უფლების 20 წლის ვადით გადაცემის მიზნით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირის - შპს „დ. კ.-ს“ მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცემა.

2014 წლის 22 აპრილს კს „დ. კ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ განცხადებით მიმართა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა 2014 წლის 31 მარტის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის გაცემა, ვინაიდან თბილისის მერიაში განცხადების წარდგენიდან გასული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის კანონით გათვალისწინებული 10 სამუშაო დღე.

2014 წლის 8 აპრილის №XX/XXXX-X წერილით თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის



სააგენტომ შპს „დ. კ.-ს“ დირექტორს სთხოვა ეცნობებინა - იყო თუ არა თანახმა კს „დ. პ. ს.-ს“ წერილში მოთხოვილი ინფორმაციის გაცემაზე. აღნიშნული წერილის პასუხად, 2014 წლის 25 აპრილს შპს „დ. კ.-მ“ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აცნობა, რომ მისი მხრიდან 2012 წლის 26 აპრილის აუქციონში გამარჯვების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება ხდება კომპანიის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გაცემული შესაბამისი დასკვნებით. კომპანიის მითითებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, რის გამოც, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სთხოვს იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაითვალისწინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ინტერესები და უზრუნველყოს კომპანიის კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების გაუმჟღავნებლობა.

2014 წლის 22 აპრილს წარდგენილი განცხადების პასუხად, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 29 აპრილის წერილით ლ. ს.-ს ეცნობა, რომ ვინაიდან შპს „დ. კ.-ს“ მიერ 2012 წლის აუქციონის შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, კომპანია სააგენტოს სთხოვს უზრუნველყოს მისი კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების გაუმჟღავნებლობა.

2014 წლის 8 მაისს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა კს „დ. პ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ და მიუთითა, რომ დადასტურებული არ არის მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, სააგენტოს მისთვის არ მიუწოდებია გადაწყვეტილება, შპს „დ. კ.-ს“ მიერ წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, ინფორმაცია საჯაროა და ექვემდებარება გაცემას.

2014 წლის 8 მაისის განცხადების პასუხად, 2014 წლის 16 მაისს სსიპ ქონების მართვის სააგენტომ ლ. ს.-ს აცნობა, რომ განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მას პასუხი უკვე გაეცა 2014 წლის 29 აპრილის წერილით.

2014 წლის 14 ნოემბერს ლ. ს.-მ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონის პირობების შესრულების შესახებ, კერძოდ:

1) შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონის პირობების შესრულების (შეუსრულებლობის) შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული ყველა დასკვნა;



2) პასუხი კითხვაზე: შეასრულა თუ არა შპს „დ. კ.-მ“ აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება 2014 წლის პირველ მარტამდე, ანუ აუქციონის პირობების შესაბამისად, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღამდე;

3) თუ 2014 წლის პირველ მარტამდე შპს „დ. კ.-ს“ არ შეუსრულებია აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რა სანქციები დაეკისრა შპს „დ. კ.-ს“ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;

4) დოკუმენტი, რომლითაც აუქციონის პირობების შესაბამისად განისაზღვრა მინიმუმ სამი ცენტრალური ქუჩა და პოპულარული ტურისტული მარშრუტი, ასევე შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება (შეუსრულებლობა);

5) ინფორმაცია იმ აპარატურის სპეციფიკის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ინტერნეტ-ტრაფიკის მიწოდება; მითითება, კონკრეტულად რომელ რომელ ქუჩებზეა როუმინგი უზრუნველყოფილი; ასევე ინფორმაცია, თუ როდის და რომელ სადგურზე შემოწმდა მიწოდებული სიჩქარე/ინტერნეტ-სერვისის როუმინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდებით;

6) შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში თბილისში მინიმუმ 400 Wi-Fi წვდომის სადგურის განთავსებასთან, მომდევნო 3 თვის განმავლობაში დამატებით მინიმუმ 500 წვდომის სადგურის ჩართვასთან, შემდგომ 2012 წლის 31 დეკემბრამდე ვადაში დამატებით 600 წვდომის სადგურის ჩართვასთან და 2013 წლის განმავლობაში 1000 წვდომის სადგურის ჩართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ასევე ინფორმაცია განთავსებული სადგურების ადგილმდებარეობის, მათი მისამართებისა და კოორდინატების შესახებ.

7) შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში როუმინგის სისტემით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა).

8) შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა).

2014 წლის 14 ნოემბრის განცხადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2014 წლის 18



ნოემბერს რეაგირებისათვის გადაუგზავნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, რომელმაც 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXXX-X წერილით თბილისის მერიას აცნობა შემდეგი:

„გაცნობებთ, რომ შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი XX-XXX-X-XXXX ოქმის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება 50 000 ლარიანი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესახებ, შესრულებული იქნა 2012 წლის 23 მაისს. რაც შეეხება „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, გაცნობებთ, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, ინტერნეტ სერვისი - როუმინგი ხორციელდება ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, პეტრე მელიქიშვილის გამზირებზე, გლდანის ვარდების რევოლუციის პარკსა და რიყის პარკში. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ უსადენო წვდომის სადგურებს შორის გადასვლა ხორციელდება ავტომატურად - მომხმარებლის ჩარევის გარეშე, რაც ნიშნავს რომ სადგურებს შორის არის როუმინგული კავშირი.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული ოქმის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას - 400, 500 და 600 WI_FI წვდომის სადგურის განთავსებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვალდებულება შპს „დ. კ.-ს“ მიერ შესრულდა ვადის დარღვევით, რაც გახდა კომპანიისათვის პირგასამხეტლოს დაკისრების საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნები, რომლითაც დასტურდება როგორც ვალდებულების შესრულება, ასევე განთავსებული ტექნიკური საშუალებების პარამეტრების შესაბამისობა ოქმით გათვალისწინებულ მონაცემებთან. განთავსებული სადგურები მოიცავს თბილისის თითქმის ყველა უბანსა და საჯარო სკოლების 90%-ზე მეტს.

ამავე პუნქტით გათვალისწინებული 1000 WI_FI წვდომის სადგურის განთავსება შპს „დ. კ.-ს“ უნდა განეხორციელებინა 2013 წლის განმავლობაში და აუქციონის ჩატარებიდან 1 წლის ვადაში უნდა უზრუნველყო თბილისი მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპანიის მიერ ვერ განხორციელდა ვალდებულების შესრულება და სააგენტოს 2014 წლის 30 იანვრის წერილის საფუძველზე კომპანიას ჩამოეჭრა საბანკო გარანტიის თანხა - 50 000 ლარი. ამასთანავე, კომპანიას დაევალა იმავე ოდენობის უპირობო და გამოუხმობი ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა და მიეცა გაფრთხილება, რომ მის მიერ ვალდებულების გონივრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდებოდა აუქციონის ბათილად ცნობა.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფით მიზნით შპს „დ. კ.-ს“ მიერ წარმოდგენილი იქნა - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დასტურდება 1000 WI_FI წვდომის სადგურის განთავსება და თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ



ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული სამუშაოების და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განთავსება. დასკვნის თანახმად, ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია შემდეგ მეტროსადგურებს შორის : „ვარკეთილი, ახმეტელის თეატრი“, „სადგურის მოედანი 2 - ვაჟა ფშაველა“ და „დელისი - სადგურის მოედანი 2“. ასევე ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია N 150 ავტობუსის მარშრუტზე.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი XX-XXX-X-XXXX ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება მიეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კომპეტენციას”.

3.3. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იმავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ



მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლომ ასევე ყურადღება მიაქცია აღნიშნული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლი შეეხება კომერციულ საიდუმლოებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში,



ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამრიგად, განსხვავებით პერსონალური მონაცემებისა, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებელია პირის გამოხატული ნება იმისათვის, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას მიენიჭოს კომერციული საიდუმლოების სტატუსი. 27² მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს პირის მითითების ვალდებულებას აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული, საჯარო ინფორმაციის ღიაობის გამომრიცხავი ერთ-ერთი გარემოების - „დადგენილი წესით“ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის, აუცილებელია 27² მუხლით დადგენილი პროცედურის დაცვა, რაც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დასრულდეს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ინფორმაცია, რომლის გაცემის ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს, გარკვეულწილად კომერციული შინაარსის მატარებელია. ამასთან, საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით დადგენილია, რომ აღნიშნული ინფორმაციის წარდგენისას, შპს „დ. კ.-ს“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების შემცველობის შესახებ მითითებას. ამასთან, საჯარო დაწესებულებას კანონით დადგენილ ვადაში და წესით არ უმსჯელია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე და საკითხის გადაწყვეტის მიზნით არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მივიჩნევთ, რომ მესამე პირმა 2014 წლის 25 აპრილის №X-XXX/XX-XX წერილით გამოხატა ნება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე, მას ავტომატურ რეჟიმში აღნიშნული სტატუსი არ მინიჭებია, ვინაიდან, საჯარო დაწესებულებას კანონით დადგენილ ვადაში და წესით არ უმსჯელია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე და არ გამოუცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასევე უდავოა, რომ შპს „დ. კ.-ს“ კანონით დადგენილი წესით არ უდავია მის ღიაობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი,



გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ. 42-ე მუხლში კი, მოცემულია იმ ინფორმაციათა ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. სასამართლომ მიუთითა ამ მუხლის „ნ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, არსებული ჩამონათვალის გარდა, დაუშვებლად არის მიჩნეული ყველა სხვა ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კს „დ. პ. ს.-ს“ დირექტორისათვის ინფორმაციის გაცემის მიზნით, არ არსებობდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შპს „დ. კ.-საგან“ თანხმობის გამოთხოვის ვალდებულება, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნით გათვალისწინებული, მოსარჩელის ინტერესში შემავალი ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებაში წარდგენის მომენტისათვის, კანონით დადგენილი წესით არ არის მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გასაიდუმლოება დაუშვებელია და ექვემდებარება გაცემას, შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე. ამრიგად, შპს „დ. კ.-ს“ 2014 წლის 25 აპრილის წერილში გამოხატულ ნებას იმის შესახებ, რომ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან აღარ უნდა მინიჭებოდა მნიშვნელობა დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნულის აუცილებლობა იარსებებდა ინფორმაციის წარდგენის დროს მისი კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოპასუხე მხარის პოზიციას, რომლის თანახმად, იგი არ უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოდ. მოპასუხე აღნიშნულს ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ თბილისის ტერიტორიაზე უმავთულო ინტერნეტის ქსელის მოწყობისა და განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების უფლების მოპოვების მიზნით აუქციონის გამოცხადების ინიციატორია თბილისის მერია. შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებული პირი - შპს „დ. კ.“, აუქციონის შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარუდგენს თბილისის მერიას და სწორედ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი რეაგირება მოახდინოს მოსარჩელის მოთხოვნაზე. ამასთან, ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXX-X წერილის შინაარსი ცხადყოფს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მოპასუხესთან დაცულია, და აღნიშნული საჯარო დაწესებულება წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის



გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ლ. ს.-ს თავდაპირველი განცხადება შესაბამისი ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, 2014 წლის 31 მარტს წარდგენილი იყო თბილისის მერიაში, რომელსაც კანონით დადგენილ ვადაში განცხადებაზე რეაგირება არ მოუხდენია. ასევე უდავოა, რომ 2014 წლის 31 მარტის განცხადებაზე რეაგირების არარსებობის გამო, დაინტერესებულმა პირმა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 2014 წლის 22 აპრილს მიმართა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს, რომელმაც წარდგენილ განცხადებაზე მოახდინა რეაგირება: 2014 წლის 8 აპრილის №XXXXXX-X წერილით შპს „დ. კ.-ს“ დირექტორისაგან ითხოვა თანხმობა კს „დ. პ. ს.-ს“ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, ხოლო 2014 წლის 29 აპრილის წერილით ლ. ს.-ს ეცნობა, რომ ვინაიდან შპს „დ. კ.-ს“ მიერ 2012 წლის აუქციონის შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, კომპანია სააგენტოს სთხოვს უზრუნველყოს მისი კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების გაუმჟღავნებლობა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ პირად სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიჩნევისა და მისი მხრიდან ლ. ს.-ს მოთხოვნაზე რეაგირების დადასტურებას წარმოადგენს ასევე ის გარემოებაც, რომ ლ. ს.-ს მიერ 2014 წლის 14 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი დაზუსტებული მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, სათანადო რეაგირების მიზნით, 2014 წლის 18 ნოემბერს გადაეგზავნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

სასამართლომ ყურადღება მიაქცია თბილისის მერიისათვის 2014 წლის 18 ნოემბრის მიმართვის პასუხად გადაგზავნილ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXX-X წერილზე, რომელიც ცალკეული პუნქტების სახით შეიცავს რეაგირებას დაინტერესებული პირის თითოეული მოთხოვნის მიმართ. წერილი არამხოლოდ შპს „დ. კ.-ს“ მიერ ცალკეული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველია, არამედ, ცალკეულ ვალდებულებათა შესრულების დადასტურების მიზნით კომპანიის მიერ წარდგენილი ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებისა და ამ დასკვნებით დადასტურებული გარემოებების შესახებ ინფორმაციასაც ასახავს. დასკვნის სახით კი, ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნულ წერილში მიუთითებს, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი XX-XXX-X-XXXX ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება მიეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კომპეტენციას.

უდავოა, რომ მოსარჩელის ინტერესს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნებისა და სხვა იმ დოკუმენტაციის მიღება წარმოადგენს, რომლებითაც დადასტურებულია თბილისის



ტერიტორიაზე უმავთულო ინტერნეტის ქსელის მოწყობისა და განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების უფლების მოპოვების შესახებ აუქციონის შედეგებით ნაკისრი ცალკეული ვალდებულების შესრულება. მოსარჩელის ინტერესი ასევე დაკავშირებულია დოკუმენტაციის სახით იმ აპარატურის სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან, რომლითაც შპს „დ. კ.“ აწარმოებს გარკვეულ პროცედურებს, ასევე აუქციონის პირობების შესასრულებლად განთავსებული Wi-Fi წვდომის სადგურების მისამართებისა და კოორდინატების ამსახველი დოკუმენტაციის მიღებასთან. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXX-X წერილის შინაარსი იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მისი გაცემა ამ სახით შეუძლებელი იქნებოდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში არარსებობის შემთხვევაში.

სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტში მოცემულ „საჯარო ინფორმაციის“ განმარტებაზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამდენად, საჯარო ინფორმაციის გაცემის სუბიექტს წარმოადგენს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სათანადო საჯარო ინფორმაცია ან ხელი მიუწვდება მასზე. მოცემულ შემთხვევაში კი, 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXX-X წერილში ასახული ინფორმაცია მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ დოკუმენტაციის სახით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაცულია სსიპ ქონების მართვის სააგენტოში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს რეაგირება ლ. ს.-ს მოთხოვნაზე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ შპს „დ. კ.-ს“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლოა დაკავშირებულია თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონის შედეგებთან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.



ზემოხსენებული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძველიანია, უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უნდა დაევალოს მიაწოდოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული საჯარო ინფორმაცია.

4. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

4.1. აპელანტ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

აპელანტი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე და ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტზე, რომლებიც განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციისა და საიდუმლო ინფორმაციის ცნებებს. ამავე კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას, ხოლო ამავე კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 25 ნოემბრის NXX/XXXXX-X წერილით ეცნობა ლ. ს.-ს შპს „დ. კ.-ს“ მიერ 2012 წლის 26 აპრილის ოქმით (ადმინისტრაციული დაპირებით) გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესახებ.

4.2. აპელანტ შპს „დ. კ.-ს“ სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

აპელანტი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს კომერციული საიდუმლოების ცნებას და აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოებები შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას, ამასთან, აღნიშნული პროექტის



განხორციელება ხდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რისმა გასაჯაროებამაც შესაძლებელია გამოიწვიოს შპს „დ. კ.-სათვის“ ზიანის მიყენება.

III სამოტივაციო ნაწილი:

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

5.1. ფაქტობრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითებს მათზე და აღნიშნავს შემდეგს:

დადგენილია, რომ შპს „დ. კ.-მ“ გაიმარჯვა თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2012 წლის 26 აპრილს მოწყობილ აუქციონზე და მოიპოვა თბილისის ტერიტორიაზე უმავთულო ინტერნეტის ქსელის მოწყობისა და განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების უფლება, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში (ადმინისტრაციულ დაპირებაში) მითითებული პირობებით.



2014 წლის 31 მარტს კს „დ. პ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ განცხადებით მიმართა თბილისის მერიას და მოითხოვა 2012 წელს თბილისში, განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებისა და უმავეთლო წვდომის სადგურების ექსკლუზიური განთავსების უფლების 20 წლის ვადით გადაცემის მიზნით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირის - შპს „დ. კ.-ს“ მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცემა.

2014 წლის 22 აპრილს კს „დ. პ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ განცხადებით მიმართა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა 2014 წლის 31 მარტის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის გაცემა, ვინაიდან თბილისის მერიაში განცხადების წარდგენიდან გასული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის კანონით გათვალისწინებული 10 სამუშაო დღე.

2014 წლის 8 აპრილის №XX/XXXX-X წერილით თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ შპს „დ. კ.-ს“ დირექტორს სთხოვა ეცნობებინა - იყო თუ არა თანახმა კს „დ. პ. ს.-ს“ წერილში მოთხოვილი ინფორმაციის გაცემაზე. აღნიშნული წერილის პასუხად, 2014 წლის 25 აპრილს შპს „დ. კ.-მ“ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აცნობა, რომ მისი მხრიდან 2012 წლის 26 აპრილის აუქციონში გამარჯვების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება ხდება კომპანიის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გაცემული შესაბამისი დასკვნებით. კომპანიის მითითებით, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, რის გამოც, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სთხოვს იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაითვალისწინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ინტერესები და უზრუნველყოს კომპანიის კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების გაუმჟღავნებლობა.

2014 წლის 22 აპრილს წარდგენილი განცხადების პასუხად, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 29 აპრილის წერილით ლ. ს.-ს ეცნობა, რომ ვინაიდან შპს „დ. კ.-ს“ მიერ 2012 წლის აუქციონის შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, კომპანია სააგენტოს სთხოვს უზრუნველყოს მისი კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების გაუმჟღავნებლობა.

2014 წლის 8 მაისს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა კს „დ. პ. ს.-ს“ იურისტმა ლ. ს.-მ და მიუთითა, რომ დადასტურებული არ არის მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, სააგენტოს მისთვის არ მიუწოდებია გადაწყვეტილება, შპს „დ. კ.-ს“ მიერ წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, ინფორმაცია



საჯაროა და ექვემდებარება გაცემას.

2014 წლის 8 მაისის განცხადების პასუხად, 2014 წლის 16 მაისს სსიპ ქონების მართვის სააგენტომ **ლ. ს.-ს** აცნობა, რომ განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მას პასუხი უკვე გაეცა 2014 წლის 29 აპრილის წერილით.

2014 წლის 14 ნოემბერს **ლ. ს.-მ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია შპს „**დ. კ.-ს**“ მიერ აუქციონის პირობების შესრულების შესახებ, კერძოდ:

1) შპს „**დ. კ.-ს**“ მიერ აუქციონის პირობების შესრულების (შეუსრულებლობის) შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული ყველა დასკვნა;

2) პასუხი კითხვაზე: შეასრულა თუ არა შპს „**დ. კ.-მ**“ აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება 2014 წლის პირველ მარტამდე, ანუ აუქციონის პირობების შესაბამისად, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღამდე;

3) თუ 2014 წლის პირველ მარტამდე შპს „**დ. კ.-ს**“ არ შეუსრულებია აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რა სანქციები დაეკისრა შპს „**დ. კ.-ს**“ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;

4) დოკუმენტი, რომლითაც აუქციონის პირობების შესაბამისად განისაზღვრა მინიმუმ სამი ცენტრალური ქუჩა და პოპულარული ტურისტული მარშრუტი, ასევე შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „**დ. კ.-ს**“ მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება (შეუსრულებლობა);

5) ინფორმაცია იმ აპარატურის სპეციფიკის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ინტერნეტ-ტრაფიკის მიწოდება; მითითება, კონკრეტულად რომელ რომელ ქუჩებზეა როუმინგი უზრუნველყოფილი; ასევე ინფორმაცია, თუ როდის და რომელ სადგურზე შემოწმდა მიწოდებული სიჩქარე/ინტერნეტ-სერვისის როუმინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდებით;

6) შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „**დ. კ.-ს**“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში თბილისში მინიმუმ 400 Wi-Fi წვდომის სადგურის განთავსებასთან, მომდევნო 3 თვის განმავლობაში დამატებით მინიმუმ 500 წვდომის სადგურის ჩართვასთან, შემდგომ 2012 წლის 31 დეკემბრამდე ვადაში დამატებით 600 წვდომის სადგურის ჩართვასთან და 2013 წლის განმავლობაში 1000 წვდომის სადგურის



ჩართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ასევე ინფორმაცია განთავსებული სადგურების ადგილმდებარეობის, მათი მისამართებისა და კოორდინატების შესახებ.

7) შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში როუმინგის სისტემით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა).

8) შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რომლებითაც დადასტურებულია შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულება (შეუსრულებლობა).

2014 წლის 14 ნოემბრის განცხადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2014 წლის 18 ნოემბერს რეაგირებისათვის გადაუგზავნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, რომელმაც 2014 წლის 25 ნოემბრის №XX/XXXXX-X წერილით თბილისის მერიას აცნობა შემდეგი:

გაცნობებთ, რომ შპს „დ. კ.-ს“ მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი XX-XXX-X-XXXX ოქმის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება 50 000 ლარიანი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესახებ, შესრულებული იქნა 2012 წლის 23 მაისს. რაც შეეხება „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, გაცნობებთ, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად, ინტერნეტ სერვისი - როუმინგი ხორციელდება ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, პეტრე მელიქიშვილის გამზირებზე, გლდანის ვარდების რევოლუციის პარკსა და რიყის პარკში. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ უსადენო წვდომის სადგურებს შორის გადასვლა ხორციელდება ავტომატურად - მომხმარებლის ჩარევის გარეშე, რაც ნიშნავს რომ სადგურებს შორის არის როუმინგული კავშირი.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული ოქმის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას - 400, 500 და 600 WI_FI წვდომის სადგურის განთავსებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვალდებულება შპს „დ. კ.-ს“ მიერ შესრულდა ვადის დარღვევით, რაც გახდა კომპანიისათვის პირგასამხეტლოს დაკისრების საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნები, რომლითაც დასტურდება როგორც ვალდებულების შესრულება, ასევე განთავსებული ტექნიკური საშუალებების პარამეტრების შესაბამისობა ოქმით გათვალისწინებულ მონაცემებთან. განთავსებული სადგურები მოიცავს თბილისის თითქმის ყველა უბანსა და საჯარო სკოლების 90%-ზე მეტს.



ამავე პუნქტით გათვალისწინებული 1000 WI_FI წვდომის სადგურის განთავსება შპს „დ. კ.-ს“ უნდა განხორციელდებინა 2013 წლის განმავლობაში და აუქციონის ჩატარებიდან 1 წლის ვადაში უნდა უზრუნველყო თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპანიის მიერ ვერ განხორციელდა ვალდებულების შესრულება და სააგენტოს 2014 წლის 30 იანვრის წერილის საფუძველზე კომპანიას ჩამოეჭრა საბანკო გარანტიის თანხა - 50 000 ლარი. ამასთანავე, კომპანიას დაევალა იმავე ოდენობის უპირობო და გამოუხმობი ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა და მიეცა გაფრთხილება, რომ მის მიერ ვალდებულების გონივრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდებოდა აუქციონის ბათილად ცნობა.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფით მიზნით, შპს „დ. კ.-ს“ მიერ წარმოდგენილი იქნა - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დასტურდება 1000 WI-FI წვდომის სადგურის განთავსება და თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავ შემადგენლობებსა და მოძრავ ავტობუსში ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული სამუშაოების და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განთავსება. დასკვნის თანახმად, ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია შემდეგ მეტროსადგურებს შორის : „ვარკეთილი, ახმეტელის თეატრი“, „სადგურის მოედანი 2 - ვაჟა ფშაველა“ და „დელისი - სადგურის მოედანი 2“. ასევე ინტერნეტთან წვდომა უზრუნველყოფილია N 150 ავტობუსის მარშრუტზე.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი XX-XXX-X-XXXX ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება მიეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კომპეტენციას”.

5.2. სამართლებრივი დასაბუთება:

პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და სააპელაციო საჩივრების ფარგლებში აღნიშნავს შემდეგს:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა სახელმწიფო მმართველობის კანონიერებისა და ლეგიტიმურობის პროპორციულია და დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების თვისებაა.



სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან ინფორმაციის მიღება ექვემდებარება კანონისმიერ მოწესრიგებას. ინფორმაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. გამჭვირვალობის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განისაზღვრა ინფორმაცია, რომლის ღიაობა აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იმავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“), რომლის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას. პალატა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის ღიაობა უზრუნველყოფილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, ხოლო ამავე კოდექსის მე-2 მუხლის გ) ქვეპუნქტში მოცემული საჯარო ინფორმაციის დეფინიციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით



მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად კი, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

პალატა განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული: 1) როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და, 2) როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

პალატა განმარტავს, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272.1. მუხლში ჩამოთვლილ ნიშნებს, რომელთაგან ერთ-ერთ არსებით საფუძველს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის შემცველი, მოტივირებული უნდა იყოს და, რომლის გამჟღავნებამ შესაძლებელია,



ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. თავის მხრივ, პირის კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა ნიშნავს სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნის სამომხმარებლო ბაზარზე. ამასთან, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებელია პირის გამოხატული ნება იმისათვის, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას მიენიჭოს კომერციული საიდუმლოების სტატუსი. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს აღნიშნულის თაობაზე, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დასრულდეს.

პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ შპს „დ. კ.-ს“ ინფორმაციის წარდგენისას, მისი კომერციული საიდუმლოების შემცველობის შესახებ არ მიუთითებია და საჯარო დაწესებულებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში და წესით არ უმსჯელია და საკითხის გადაწყვეტის მიზნით არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გათვალისწინებითაც პალატა ვერ გაიზიარებს შპს „დ. კ.-ს“ მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას ინფორმაციის გასაჯაროებით პირის კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მიყენების თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როცა იგი ეხება 2012 წლის ინფორმაციას.

პალატა, 2014 წლის 25 აპრილის №X-XXX/XX-XX წერილთან დაკავშირებით ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ ამ წერილით მოთხოვილი არ ყოფილა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, აღნიშნული არის მხარის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ და სააგენტოს კითხვაზე პასუხი, სადაც არც არის იდენტიფიცირებული რის მიჩნევა სურს კომერციულ საიდუმლოებად, თუ ასეთი გააჩნდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მივიჩნევთ, რომ მესამე პირმა 2014 წლის 25 აპრილის №X-XXX/XX-XX წერილით გამოხატა ნება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევაზე, მას ავტომატურ რეჟიმში აღნიშნული სტატუსი არ მინიჭებია, ვინაიდან, საჯარო დაწესებულებას კანონით დადგენილ ვადაში და წესით არ უმსჯელია ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე და არ გამოუცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასევე შპს „დ. კ.-ს“ კანონით დადგენილი წესით არ უდავია მის ღიაობასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. ამავ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის



მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ამავე კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ. 42-ე მუხლში კი, მოცემულია იმ ინფორმაციათა ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. **სასამართლომ მიუთითა ამ მუხლის „ნ“ პუნქტზე, რომლის თანახმად, არსებული ჩამონათვალის გარდა, დაუშვებლად არის მიჩნეული ყველა სხვა ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.**

სააპელაციო პალატა ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, კს „დ. პ. ს.-ს“ დირექტორისათვის ინფორმაციის გაცემის მიზნით, არ არსებობდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შპს „დ. კ.-საგან“ თანხმობის გამოთხოვის ვალდებულება, ვინაიდან ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებაში წარდგენის მომენტისათვის, კანონით დადგენილი წესით არ არის მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გასაიდუმლოება დაუშვებელია და ექვემდებარება გაცემას, შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, როცა დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

6. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.



7. საპროცესო ხარჯები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აპელანტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. აპელანტების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართის სააგენტოსა და შპს „დ. კ.-ს“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა);

მოსამართლე:

მანანა ჩოხელი